

St. John Climacus

THE LADDER OF DIVINE ASCENT

Translated from Old Greek into Old Georgian


by St. Euthymius the Athonite

10th century

წმიდა იოვანე სინელი

კლემაქსი, ბომელ ას კიბე

თანგმნილი წმიდა ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ



გამომცემლობა „ბეთანია“

თბილისი

2016

ტექსტი გამოსაცემად მომზადდა მზოვრეთის მამათა  
მონასტერში

რედაქტორები: ვლადიმერ წამალაშვილი  
რუსუდან ბუაჩიძე

რეცენზენტი: ანა ხარანაული

© მზოვრეთის მამათა მონასტერი, 2016  
© გამომცემლობა „ბეთანია“

ISBN 978-9941-0-8601-4

## საძიებელი

წინასიტყვაობა .....	7
ეფთვე მთაწმიდელის წინასიტყვაობა.....	13
თქუმული დანიელ მონაზონისა .....	14
ცხორებად წმიდისა იოვანე სინელ მამასახლისისა.....	17
ებისტოლც წმიდისა იოვანე რაითელ მამასახლისისად .....	25
ებისტოლც წმიდისა იოვანე სინელ მამასახლისისა .....	27
თავი 1. გამოსლვისათვს სოფლით .....	30
თავი 2. სიძულილისათვს სოფლისა და მონაგებთა მისთა .....	45
თავი 3. უცხოებისათვს.....	51
სიზმართათვს .....	58
თავი 4. მორჩილებისათვს .....	61
თავი 5. სინანულისათვს .....	109
თავი 6. წსენებისათვს სიკუდილისა.....	127
თავი 7. გლოვისათვს .....	133
თავი 8. ურისხველობისათვს და გულისწყრომისა .....	151
თავი 9. ძკრისტინებისათვს.....	160
თავი 10. ძკრისტრახვისათვს და განკითხვისა .....	164
თავი 11. დუმილისათვს და მრავალმეტყუელებისა .....	168
თავი 12. ტყუილისათვს .....	171
თავი 13. მოწყინებისათვს.....	174
თავი 14. ნაყროვანებისათვს .....	177
თავი 15. სიწმიდისა და ქალწულებისათვს.....	186
თავი 16. ვეცხლისმოყუარებისათვს.....	211
თავი 17. უპოვარებისათვს.....	213
თავი 18. გულფიცხელობისათვს და ულმობელობისა .....	216

თავი 19. ძილისათვეს და მრავალთა თანა ლოცვისათვეს.....	220
თავი 20. მღვდარებისათვეს წორცობადესა .....	222
თავი 21. მოშიშებისათვეს .....	226
თავი 22. ცუდადმზუაობრობისათვეს.....	229
ამპარტავანებისათვეს.....	238
თავი 23. გულისსიტყუათათვეს გმობისათა .....	245
თავი 24. სიწრფოებისათვეს და სიმშვდისა და უმანეოებისა და გულარძნილებისა .....	249
თავი 25. სიმდაბლისათვეს .....	254
თავი 26. დიაკრისისათვეს .....	270
განკითხვისა და გულისჯის-ყოფისათვესვე .....	295
თავი 27. დაყუდებისათვეს წორცობათათვეს .....	315
თავი 28. ლოცვისათვეს.....	323
თავი 29. უვნებელობისათვეს და სისრულისა .....	329
თავი 30. სამებისა მისთვეს სათნოებათადესა:	
სარწმუნოებისა, სასოებისა და სიყუარულისა.....	363
კიბცი სათნოებათად .....	370
მწყემსისა და წინამძღვრისა მიმართ .....	371
ანდერძები .....	395
ლექსიკონი.....	396

## წინასიტყვაობა

ლირსი იოვანე სინელი (იგივე კიბისაღმწერელი, სინას მთის იღუმენი, VI-VII სს.) მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი წმინდანია. მის კალამს ეკუთვნის თხზულება „კლემაქსი“, ანუ „კიბც სათნოებათად“, რომელიც ავტორმა თანამედროვეთა და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაწერა. თხზულება მონაზვნური ცხოვრების ყველა სფეროს ეხება და წარმოადგენს უდიდეს სახელმძღვანელოს მათვის, ვისაც ზეციური მოქალაქობა და ღმერთთან მიახლება განუზრახავს. სწორედ ამიტომ მას მონაზონთა მეორე სახარება-საც უწოდებენ.

\* \* \*

ლირსი მამის წარმომავლობა უცნობია. ვიცით მხოლოდ ის, რომ 16 წლის იყო, როდესაც მონაზვნად აღიკვეცა და, რომ მის მოძღვარს მარტვირი ერქვა. ცხოვრების აღმწერელის ცნობით, მონაზვნად აღკვეცამდე მას, როგორც ჩანს, გარკვეული საერო განათლება მიუღია<sup>1</sup>, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია დამონაფებოდა „კაცსა ლიტონ-სა სწავლათა შინა ჭორციელთა“, რადგან თავიდანვე მოიგო სიმდაბლე და წარდევნა ვნება „თვითრჩულობისა და ნებისა თვისისა შედგომისად“.

მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ, 18 წლისა, უდაბნოში გავიდა და დაყუდების ღვაწლს შეუდგა. ამისათვის, დიდი მონასტრიდან მოშორებით, მანძილზე „ვითარ ხუთ მილიონ“<sup>2</sup>, აიშენა სენაკი და ორმოცი წლის განმავლობაში აქ მოსაგრეობდა. მისი ღვაწლის უდიდესი ნაწილი დაფარული

<sup>1</sup> „სწავლულ იყო სიბრძნითა ფილაფოზობისახთა“ – ამ ცნობაზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ ის დიდებულთა გვარიდან იყო.

<sup>2</sup> დაახ. 8 კმ.

იყო. ცნობილია მხოლოდ ის, რომ საკვებს ძალზედ მცირეს ღებულობდა, ადამიანების ნახვას ერიდებოდა და უმეტეს ხანს მდუმარებდა; ეძინა მხოლოდ იმდენი, რომ გონება არ დაზიანებოდა. მისი უმთავრესი საქმე ლოცვა იყო, ხელსაქმედ კი, მოწყინებისგან თავის დასაცავად, წიგნების გადაწერა ჰქონდა.

მოწაფე მხოლოდ ერთი ჰყავდა, სახელად მოსე, თუმცა, როგორც ნამდვილ ბერსა და გამოცდილ მოძღვარს, რჩევისა და კურნებისათვის მრავალი მიმართავდა. მისი უდაბნოში გასვლიდან 40 წლის შემდეგ კი, როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო, ღირსი მამა, ძმათა იძულებით, სინას მონასტრის<sup>1</sup> წინამდღვარი (მამასახლისი) გახდა, რომელშიც აღასრულა თავისი წმინდა სიცოცხლე და „მიიცვალა ღმრთისა სასუფეველად ცათად“<sup>2</sup>, საუკუნო მემკვიდრეობად კი საკუთარი თხზულება – „კლემაქსი“, ანუ „კიბც სათნოებათად“ დაგვიტოვა.

\* \* \*

„კიბც სათნოებათად, ცად აღმყვანებელი“ – იოვანე სინელმა იოვანე რაითელის (რაითის მონასტრის იღუმენის) თხოვნით დაწერა. თხზულება ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება:

<sup>1</sup> უფრო დაზუსტებით, წინამდღვარი მონასტრისა – „შეუწველი მაყვალი“, რომელიც შემდგომში გახდა წმინდა ეკატერინეს მონასტერი.

<sup>2</sup> სხვა წყაროებით, ღირსი მამა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გადადგა წინამდღვრობიდან და მემკვიდრედ ღვიძლი ძმა, გიორგი დატოვა, თვითონ კი კვლავ ძველი მოღვაწეობის ადგილს დაუბრუნდა, სადაც გარდაიცვალა კიდევაც. ღირსი ანასტასი სინელის ცნობით, გიორგიმ ძმა მხოლოდ 10 თვე იგლოვა, რადგან „ზამთრის დღეების“ დასრულებისთანავე თავადაც გარდაიცვალა. ამ ცნობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იოვანე სინელი გაზაფხულზე მიიცვალა. საეკლესიო ტრადიციით ეს 30 მარტს მოხდა.

- პირველ ნაწილში, რომელიც 30 თავად არის დაყოფილი და რომელიც თხზულების უდიდეს ნაწილს მოიცავს, მოცემულია სახელმძღვანელო რჩევები მონაზონთათვის;
- მეორე ნაწილი მიმართულია მწყემსებისა და წინამძღვრებისადმი და ქართული თარგმანის ხელნაწერებში ერთ მთლიან თავად არის წარმოდგენილი.

ტრადიციულად, თხზულების ამ ორ ნაწილს ხელნაწერებსა და გამოცემებში წამძღვარებული და დართული აქვს შემდეგი ტექსტები:

- დანიელ რაითელის მიერ შედგენილი ზანდუკი და იოვანე სინელის მოკლე ცხოვრება;
- ეპისტოლე იოვანე რაითელისა იოვანე სინელის მიმართ;
- საპასუხო ეპისტოლე იოვანე სინელისა იოვანე რაითელის მიმართ;
- თხზულების ცალკეულ ადგილთა განმარტებები, შედგენილნი სხვადასხვა დროს სხადასხვა ავტორთა მიერ;
- სათნოებათა კიბის „საფეხურების“ ჩამონათვალი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხზულების ძირითადი ნაწილი 30 თავად იყოფა; თითოეულ თავში რომელიმე კონკრეტულ ვნებაზე, ან სათნოებაზეა საუბარი. მიუხედავად საკმარისი დამოუკიდებლობისა, თითოეული თავი ძალზედ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და სულიერი ცხოვრების ერთგვარ იერარქიას გამოხატავს.

პირველ სამ თავში, სადაც საუბარია სოფლიდან გამოსვლის (1), მისი სიძულვილისა (2) და უცხოების (3) შესა-

ხებ, ჩამოყალიბებული და განმარტებულია მონასტრული ცხოვრების საფუძვლები; მომდევნო თავებში აღწერილია ის ძირითადი სათნოებები (თავები 4-7: მორჩილება, სინანული, სიკვდილის ხსოვნა, გლოვა), რომელთა მოხვეჭასაც მუდმივად უნდა ცდილობდეს მონაზონი, და სხვადასხვა ვნებები (თავები 8-23: მრისხანება, უდებება, ნაყროვანება, და ა.შ.), რომელთაც ის გამუდმებით უნდა ებრძოდეს. ხოლო ნაყოფად წარმატებული ბრძოლისა იოვანე სინელი ასახელებს სიწრფოებას (24), სიმდაბლეს (25) და გულისხმისმყოფელობას (26), რომლებსაც მოღვაწე დაყუდების (27), ლოცვის (28), უვნებობის (29) და სიყვარულის (30) უმაღლეს საფეხურებამდე აჰყავს.

სულიერ კიბეს ბოლო საფეხური არ აქვს, რადგან თუ ზეალსვლის ბოლო სიყვარულია, მაშინ იოვანე სინელის სიტყვებით „სიყუარული არასადა დასრულდების ... და უკუეთუ მას შინა წარვემართნეთ, არაოდეს დავსცხრეთ არცა ამას საწუთოსა, არცა მას საუკუნესა ნათელსა ზედა კუალად სხვსა ნათლისა მოღებად და გულისჯმის-ყოფისა კეთილისა“ (თავი 26, 173).

\* \* \*

ქართულ ენაზე თხზულების პირველი თარგმანი IX საუკუნეზე ადრინდელ პერიოდს განეკუთვნება. მისი ტექსტი მხოლოდ 907 წლის ერთადერთ, სწორედ სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერშია შემორჩენილი (Sin.35).

„კლემაქსის“ ქართულ ენაზე მეორედ თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელის სახელთან არის დაკავშირებული. წმინდა მამის სიტყვებით, რადგან „პირველსა მას თარგმანსა მრავალი მრუდად დაეწერა და მრავალი დაეგდო“, მან, ეფთვიმემ, მამამისის, იოვანე მთაწმიდელის ბრძანებით, თავიდან თარგმნა მთელი თხზულება ისე, როგორც „მას წმიდასა (ე.ი. იოვანე სინელს) თკთ ეთქუა ბერძულად“.

ქართულ ენაზე არსებობს „კლემაქსის“ მესამე თარგმანიც, რომელიც გელათის ლიტერატული სკოლის პრინციპებითაა განხორციელებული პეტრე გელათელის მიერ. თარგმანი სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულ დედანს, მაგრამ მისი ენა ძალზე მძიმე და ბუნდოვანია; სწორედ ამიტომ, ამ თარგმანმა ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა, განსხვავებით ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანისაგან.

წინამდებარე ტექსტი სწორედ ეფთვიმეს თარგმანის პუბლიკაციას წარმოადგენს.<sup>1</sup> იგი დადენილია შვიდი უძველესი ხელნაწერის მიხედვით:

1. Ath.5 – 983 ს.
2. A-134 – XI ს
3. A-285 – XI ს.
4. A-445 – XI ს.
5. Jer.96 – XI ს.
6. Jer.20 – XII-XIII ს.ს.
7. H-1669 – XII-XIII ს.ს.

ძირითად ტექსტად აღებულია ათონის მთაზე დაცული 983 წლის ხელნაწერი – Ath.5, გადაწერილი იოვანე და ეფთვიმე მთაწმიდელების სიცოცხლეშივე, იოვანე სვინკელის მიერ. ნაკლული თავები და ცალკეული მუხლების მცდარი იკითხვისები შევავსეთ და შევასწორეთ სხვა ხელნაწერების მიხედვით.

ფართო მკითხველისათვის განსაზღვრულ ამ გამოცემაში ხელნაწერის ტექსტი, რომელიც ქართული ენის გარდამავალი პერიოდისთვის ტიპიური ენობრივი და ორთოგრაფიული

<sup>1</sup> კლემაქსის ეფთვიმესეული თარგმანი გამოიცა ფოთში 1902 წელს და შემდეგ განმეორდა. ტექსტი სავსეა სხვადასხვა სახის შეცდომით, რომელიც ახალ ქართულ თარგმანშიცაა გადმოყოლილი.

სიჭრელით ხასიათდება, გამართულია დღევანდელი ორთო-გრაფიული ნორმების მიხედვით.

გამოცემას, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, არ ერთვის კრიტიკული აპარატი, ტექსტში არ არის ასახული ხელნაწერთა არშიებზე არსებული ცალკეულ გადამწერთა თუ მკითხველთა მინაწერები.

ათონური და იერუსალიმური ხელნაწერების მოპოვებაში განეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექციას; მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში და რომელთა დახმარებისა და რჩევების გარეშეც ეს წიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა. დაე ღმერთმან მიაგოს მათ სასყიდელი მათი.

მზოვრეთის მამათა მონასტერი

## ეფთკმე მთაწმიდელის წინასიტყვაობა

ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი იკითხვიდეთ, ანუ სწერდეთ წმიდასა ამას წიგნსა, წმიდანო ღმრთისანო, ვითარმედ ნეტარსა ამას მამასა, რომელსა ესე სულთა განმანათლებელი წიგნი უთქუამს, არა-თუ „კლემაქსი“ ეწოდების – ნუ იყოფინ! – არამედ იოვანე არს სახელი მისი; ხოლო „კლემაქსი“ წიგნსა ეწოდების, და არს „კლემაქსი“ ბერძულითა ენითა, ვითარმედ კიბჭ-ო.

ხოლო ამისთვის ეწოდების წიგნსა ამას „კიბჭ“, რამეთუ ვითარცა კიბჭ სათნოებათად შექმნა წიგნი ესე, და მდაბალთა საქმეთაგან იწყებს, და თანა და თანა მაღალთა მიმართ აღვალს, ვითარცა თვით აღსასრულსა წიგნისასა ჰპოოთ გამოსახული კიბჭ სათნოებათად.

ხოლო რომელსა გამოკრებული იგი მცირედი ჰირველ ეთარგმნა, კლემაქსი ეთქუა მის წმიდისადა. ან უკუეთუ ვინ წიგნისა სახელსა იტყოდის, თქუნ – „კლემაქსი“, რომელ არს კიბჭ, ხოლო უკუეთუ წმიდისა მის სახელსა იტყოდის, თქუნ – „იოვანე“.

ვინათგან უკუე ჰირველსა მას თარგმანსა მრავალი მრუდად დაეწერა და მრავალი დაეგდო, ამისთვის მე, გლახაკმან ეფთკმე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოვანესითა ვთარგმნე ესე, ვითარცა მას წმიდასა თვით ეთქუა ბერძულად, რამეთუ ბერძენი იყო იგი ნათესავით.

ან უკუე, რომელნიცა იკითხვიდეთ ამას წმიდასა წიგნსა, ლოცვა-ყავთ წმიდათა მამათა ჩუენთათვს, იოვანესთვის და იოვანე სკნელისათვს და ჩემთვსცა, ცოდვილისა ეფთკმესა. და რომელნი სწერდეთ, ვითარცა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. და თავნი ვითარცა აქა იყვნენ, ეგრე დასხენით, რამეთუ მეცა ვითარცა მიპოვნიან, ეგრე დამისხმან ყოველნი წითლითა. და ამათცა სიტყუათა ნუვინ დაჲყრით, არამედ დასწერდით ღმრთისათვს და ჩემსაცა გლახაკისა სახელსა.

## პიგჭ სათხოებათად, ცად აღმყვანებელი

თქუმული დანიელ მონაზონისა რაითელისად,  
წიგნისა ამისთვის სულთა განმანათლებელისა,  
რომელსა ეწოდების „კლემაქსი“, რომელ არს კიბც

რომელთა პნებავს წიგნსა მას ცხორებისასა ცათა შინა  
დაწერად სახელები მათი და ისწრაფიან კეთილთა მათ მი-  
მართ ზეცისა ნეტარებისათა აღსლვად, კეთილი სახც და  
სწავლად სრბისა მის მათისად უჩუუნოს წმიდამან ამან წიგნ-  
მან. რამეთუ, რომელნიცა ამას აღმოიკითხვიდენ, პოონ წი-  
ნამძღუარი უცოთმელი, რომელი უძღლოდის სასუფეველი-  
სა მიმართ ცათადსა ყოველთა, რომელი შეუდგენ მას, და  
ყოველთავე შემაბრკოლებელთა ქვათაგან დაიცვნეს იგინი  
შეუბრკოლებელად და ექმნას კიბც ქუეყანით ცად აღმართე-  
ბული და მიმყვანებელი ქუეყანით წმიდისა მის მიმართ წმი-  
დათადსა, რომელი გამოაჩინებს ღმერთსა თავსა ზედა თვესა  
მდგომარედ. და მსგავსი არს კიბისად მის, რომელი ოდესმე  
ვნებათა დამთრგუნველმან იაკობ იხილა, გან-რაღ-ისუენებ-  
და სარეცელისა მას ზედა მოღუაწებისასა.

ამისთვის უკუე გევედრები, ძმანო, აღვეზდეთ ჩუენცა  
სარწმუნოებით და სურვილით სულიერსა ამას და ცად აღ-  
მყვანებელსა კიბესა, რომლისა პირველი აღსავალი კიბისად  
გუასწავებს კეთილად:

- ა. სოფლისა ამის ამაოდსა განშორებისათვის
- ბ. სიძულილისათვის სოფლისა და საქმეთა მისთა
- გ. უცხოებისათვის, რომელსა შინა იტყვს სიზმართათვისცა  
ცუდთა
- დ. წამებისა მისთვის, რომელი იქმნების მორჩილებისა მიერ
- ე. სინანულისათვის, რომელსა შინა იტყვს დილეგისა მისთვის

- ვ. წსენებისათვს სიკუდილისა
- ზ. ცოდვათა განმნშედელისა გლოვისათვს
- ტ. ურისხველობისათვს
- თ. ძრისქსენებისათვს
- ი. ძრისზრახვისათვს
- ია. დუმილისათვს
- იბ. ტყუილისათვს
- იგ. მოწყინებისათვს
- იდ. ნაყროვანებისათვს
- იე. სიძვისათვს
- ივ. ვეცხლისმოყუარებისათვს
- იზ. უპოვარებისათვს
- იც. ულმობელობისათვს
- ით. გალობისათვს კრებულთა შორის
- კ. მღვდარებისათვს
- კა. მოშიშებისათვს
- კბ. ზუაობისათვს
- კგ. ამპარტავანებისათვს, რომელსა თანა იტყვს გმობისა-  
თვსცა<sup>1</sup>
- კდ. სიმშვდისათვს და სიწრფოებისა
- კე. სიმდაბლისათვს
- კვ. განკითხვისა და გულისჯმის-ყოფისათვს
- კზ. დაყუდებისათვს და განშორებისა და დაცვისა გონე-  
ბისა
- კც. ლოცვისათვს გონებითა შემოკრებულითა
- კთ. უვნებელობისათვს
- ლ. სიყუარულისათვს და სარწმუნოებისა და სასოებისა

---

<sup>1</sup> მიუხედავად ზანდუკში ამგვარი თანმიმდევრობისა, უშუალოდ ტექსტში, ყველა ხელნაწერში 22-ე და 23-ე თავები ასეა წარმოდ-  
გენილი: თავი 22 – ზუაობისა და ამპარტავანებისათვს; თავი 23 –  
გმობისათვს.

რამეთუ ისწრაფა კეთილად ღმერთშემოსილმან მან მა-  
მამან იოვანე და ყოველივე სამონაზნოებსა ცხორებისა საქმი  
შემოკრიბა წიგნსა ამას შინა. დაყო რიცხვ კიბეთა ამათ სუ-  
ლიერთად შემსგავსებულად უფლისა წორციელისა ჰასაკისა  
წელთა, რამეთუ ოცდაათისა წლისამან ნათელ-იღო უფალ-  
მან იესუ ქრისტე, და ეგრეთვე ამან ოცდაათისა აღსავალი-  
სა კიბც გამოგვსახა, რომლისაცა უკუეთუ თავსა მივიწინეთ,  
ვიყვნეთ მიერითგან სრულ და დაუცემელ, ხოლო რომე-  
ლი ჯერეთ არღა აღსრულ იყოს კიბესა ამას ზედა, არს იგი  
ჩჩკლ და ყოველსავე წამებასა ზედა გულისასა უკმარ და არა  
სარწმუნო.

ხოლო ჩუენ ჯერ-ვიჩინეთ, რათა პირველად აქა დავა-  
წესოთ ყოვლადბრძნისა მის ცხორებად მოკლედ, ძალისა  
მისებრ ჩემისა, ვითარცა მივსწუეთ ცნობად, რათა ვხედვი-  
დეთ შრომათა მისთა და არა ურწმუნო ვიქმნეთ სიტყუათა  
მისთა.

ცხორებად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა  
იოვანე სინელ მამასახლისისა,  
მოძღურებით განთქუმულისად, სულთა  
განმანათლებელისად, ჭეშმარიტად სანატრელისად,  
რომელი-ესე აღწერა დანიელ მონაზონმან  
რაითელმან

საყუარელნო ძმანო, ვერ შემძლებელ არს სიტყუად ჩემი  
თქუმად, თუ რომელი იყო ქალაქი, რომელსა შინა იშვა და  
აღიზარდა ახოანი ესე მწედარი ღმრთისმსახურებისად პირ-  
ველ შესლვისა მისისა მოღუანებისა სარბიელსა, რამეთუ  
არა უწყი იგი ჭეშმარიტებით. ხოლო თუ რომელი არს, რო-  
მელსა შინა ან იყოფის და უკუდავებისა ნეტარებითა იშუებს  
ყოვლადქებული იგი, მას ქალაქსა ყოვლადვე არა უმეცარ  
ვარ, რამეთუ იყოფის იგი ან მას ქალაქსა შინა, რომელ-  
სა შინა მკვდრ არიან იგინი, რომელთათვს ჯმამაღალი იგი  
ნესტკ ეკლესიისად პავლე ქადაგებს, ვითარმედ: „რომელ-  
თაღ-იგი მოქალაქობად ცათა შინა არს“ (შდრ. ფილიპ. 3,20).  
მუნ იყოფის ესე სანატრელი და იშუებს საცნაურად განუძ-  
ღომელთა მათ შინა კეთილთა, და უხილავსა მას სიკეთესა  
და მიუწოდელსა გონებით განიცდის, და ღირსნი ოფლთა  
მისთა სასყიდელნი მოეფინებიან მის ზედა, და შრომათა მის-  
თათვს პატივი მოუღებიეს – ზეცისა სასუფეველი, და არს  
და იყოს უკუნისამდე მათ თანა, რომელთა ფერწენი დგანან  
სიწრფელესა შინა.

ხოლო თუ ვითარ უნივთოთა მათ თანა შეერთო ნივ-  
თიერი ესე, – მიგითხრა თქუენ კეთილად:

იყო ათექუსმეტისა წლისად წორციელითა ჰასაკითა სა-  
ნატრელი იგი, ხოლო ათასის წლის იყო გონებისა სიბრძნი-  
თა, რაჟამს-იგი შეწირა ესრეთ თავი თკსი მსხუერპლად ნებ-  
სით შეწირულად დიდისა მის მღდელთმოძღურისა, რომლისა

მიმართ შეწირნა წორცნი მთასა მას სინისასა, ხოლო სული – მთასა მას ზეცისასა. და ესრეთ, უცხოებისა მის მიერ, რომელ წინამძღვარი არს სათნოებათად, აღმოფხურა კადნიერებისა ვნებად ძირითურთ, და მოიგო სიმდაბლც შუენიერი, და წარდევნა კეთილად მაცთური იგი ვნებად თკთრჩულობისა და ნებისა თკსისა შედგომისად; რამეთუ მოუდრიკა ქედი მოძღვარსა სულიერსა, რამთა უშრომელად და უღელვოდ ვიდოდის ფიცხელსა მას ზღუასა შინა ამის ცხორებისასა. და ესრეთ დაამორჩილა თავი თკსი მოძღვარსა, ვითარმცა უსიტყუელი და ნებისაგან განშორებული სული აქუნდა.

და საკურველი ესე იყო, ვითარმედ, რომელი-იგი სწავლულ იყო სიბრძნითა ფილაფოზობისათა, დაემოწაფა კაცსა ლიტონსა სწავლათა შინა წორციელთა, ხოლო ზეცისასა – გონებითა და სათნოებითა, და სიმდაბლითა განდევნა ფილაფოზობისა ზუაობად.

და ეწოდებოდა მოძღვარსა მისსა, რომელმან აღკუეცა იგი, მარტკრი, რომელი დამკუდრებულ იყო უშინაგანეს წმიდისა მამისა ანტონისა, რომელი-იგი ახლავს ზღუასა მეწამულსა. მაშინ დაესხნეს მონასტერსა ამათსა წარმართნი, რომელნი-იგი იყოფებიან მთათა მათ შინა, და მოაოქრეს მონასტერი და მოკლნეს ექუსი მამათაგანი. და ერთსა მას მოკლულთაგანსა ერქუა სახელი კონონ, და დაფარულთა მცნობელი იყო, და იყო მის თანა მადლი წინამდარმეტყუელებისად.

ხოლო მამამან მარტკრი აღიხუნა გუამნი მათნი და დამარხნა ქუაბსა შინა ერთსა, და დაყო კარი ქუაბისად მის ლოდებითა დიდებითა, და დაგოზა კირითა, და დაწერა მას ზედა სახელები წმიდათად მათ. და შემდგომად ორისა დღისა მივიდა ხილვად საფლავისა მის, ნუუკუე გამო-რასმე-ეთხაროს მხეცთაგანსა, და პოვა ზედანერილი იგი შეუხებელად, და ნიშანი იგი სასწავლელად საფლავსა მას ზედა ეგნეს შეუცვალებელად.

მაშინ განალო და შევიდა შინაგან, რაღთამცა გამოიხუნა იგინი. და შე-რაღ-ვიდა შინა, არა პოვნა ორნი გუამნი მათ-განი, რამეთუ მიეცვალნეს ბრძანებასა ღმრთისასა, ვინაზცა უნდა მას – გუამი ამბა კონონისი და გუამი სხვა ძმისა დი-დისად.

ხოლო კუალად პირველსავე სიტყუასა ჩუენსა მოვიდეთ. რამეთუ რაჟამს ნეტარი მამად ჩუენი იოვანე მონაზონ იქმნა, ათექუსმეტისა წლისად იყო. და წარიყვანა იგი მამამან მარტვრი იოვანეს თანა, კურთხეულისა მის ბერისა, რომელი დამკვდრებულ იყო უდაბნოსა გარე კედარისასა, და მის თანა – მონაფც მისი სტეფანე. და ვითარ იხილნა იგინი ბერმან, ალდგა და წყალი შთასხა ფილსა მცირესა და დაპბანნა ფერწნი მოწფისანი და ამბორს-უყო ჭელთა მისთა და არა დაპბანნა ფერწნი მოძღურისა მისისანი. ხოლო სტეფანე, მონაფც ბერისად, დაბრკოლდა გულსა შინა თვესა, რაჟამს იხილა ესე. და ვითარცა წარვიდა ამბა მარტვრი და მონაფც მისი, ცნა ბერმან მამამან იოვანე, რამეთუ დაფარულთა მცნობელი იყო, ვითარმედ მონაფც გულსა შინა თვესა და-ბრკოლებულ არს და ჰრეკუა მას ბერმან: „რაღსათვე დაბრკოლებულ ხარ, შვილო? ჭეშმარიტად გეტყვ, ვითარმედ არა უწყი ყრმად ესე, გარნა მამასახლისად მთისა სინისა, და ფერწნი მამასახლისისანი დამიბანიან“. და შემდგომად ორმეოცდასამისა წლისა მამასახლის იქმნა მონაფც მთასა სინა-სა, ვითარცა წინაღსნარმეტყუელა მისთვე ბერმან.

და არა ხოლო თუ ამან ბერმან ოდენ წინაღსნარმეტყუელა მისთვეს, გარნა ევსტრატიცა მარტოდმყოფმან, რომელი-იგი არა ვიდრე გამოვიდის გარე დღითგან, რომელსა შინა მონაზონად აკურთხა იგი მამამან ანასტასი, მამასახლისმან სინისამან. და იხილა მან იგი, გარდამომავალი მთით წმიდით მოძღურისა თვესისა თანა, და მოუწოდა ბერმან მამასა მარტვრის და ყრმასაცა და ჰრეკუა ბერსა: „მითხარ მე, მამაო, ვინად არს ყრმად ესე, ანუ ვინ არს, რომელმან ალკუეცა

ესე?“ ჰრქუა მას მამამან მარტვრი: „მონა შენი არს, მამაო, და მონაფც ჩემი“. ჰრქუა მას წმიდამან მამამან ევსტრატი: „ნეტარ ხარ შენ, მამაო მარტვრი! ვინმე მივიდეს და უთხრას მამასა ანასტასის, სინელ მამასახლისსა, ვითარმედ: მამასახლისი მთისა სინისად აღიკუეცა დღეს“.

და ჭეშმარიტად, ვითარცა წინადსწარმეტყუელეს მამათა წმიდათა მამისა ჩუუნისა წმიდისა და კურთხეულისა იოვანეს ზედა, ეგრეცა იყო სრული და ღირსი მისთვეს, და ყოვლითავე სახითა თითოფერთა სათნოებათა კეთილთაგან სრულ იყო, ამისთვეცა მამანი მთისა სინისანი მეორედ მოსედ უწოდდეს.

ხოლო ვითარცა იქმნა ნეტარი ესე ათრვამეტის წლის, მიავლინა მეუფისა ზეცათავასა მოძღუარი და მასწავლელი მისი, ვითარცა მეოხი და მვედრებელი, ხოლო თვთ განვიდა ბრძოლად უდაბნოს. და ვითარცა საჭურველნი, წელთა თვსთა აქუნდეს ლოცვანი მისნი, და ესრეთ შევიდა ღუანლსა დაყუდებისასა განშორებულად მონასტრისაგან დიდისა, ვითარ ხუთ მილიონ; აღაშენა საყოფელი თვსი ადგილსა, რომელსა ეწოდების „თულის“, და მუნ დაყო ორმეოცი წელი თვნიერ ყოვლისავე სულმოკლებისა, და მძაფრითა მით სიყუარულისა ღმრთისა ცეცხლითა აღეტყინებოდა მარადის.

არამედ ვინ-მე შეუძლოს სიტყვთ გამოცხადებად ღუანლთა მათ, რომელთა იგი მუნ აღასრულებდა, ანუ ვითარვინ გამოთქუნეს საქმენი მისნი, რომლისა სათნოებანი ყოველნი კაცთაგან ფარულად აღესრულებოდეს? რამეთუ საჭამადი მისი იყო ესევითარი, რომლისა თვნიერ შეუძლებელ არს ყოფაზ, და იგიცა მცირედ ფრიად; და ნაკლულევანებითა მით მძლავრსა მას მუცელსა მოაყმობდა და აღკრ-ასხმიდა. და უდაბნოს ყოფითა და უხილაობითა პირთავთა ალი საწუმილისა მის ვნებათავსა სრულიად დაშრიტა, ვიდრელა სრულიად ავლად და მტუერად გარდააქცია იგი.

ხოლო კერპთმსახურებასა, რომელ არს ვეცხლისა და ოქროდსა სიყუარული, სასოებითა ღმრთისადთა და უპოვარები-

სა სათნოებითა ახოვნად მძლე-ექმნა; და დაწსნილობად სულისად საწერტელითა ჭიშნებისა სიკუდილისაღთა უჩინო-ყო. ხოლო სიყუარული ნათესავთად, გინა-თუ სხუათა სოფლისა საქმეთად, უნივთოთა მათ და საუკუნეთა საქმეთა ჭიშნებითა დაჰპესნა და წარდევნა. ხოლო მძლავრებად გულისწყრომისად პირველვე მოკლულ იყო მის მიერ მახკლითა მით მორჩილებისაღთა. და დაყუდებისა და დუმილისა სიმრავლითა მაჩუენებლობისა და ზუაობისა ბადენი განხეთქნა.

ვინ გამოთქუას ლირსად მისისა მის სიმდაბლისა საზომი, ანუ სრულისა მის სიწმიდისა მისისა სიმაღლც, რომელი დაიწყო მორჩილებისა ბესელეელ, ხოლო აღასრულა ზეცისა იერუსალიმისა უფალმან მოსლვითა თვისითა, რომლისა თვისიერ არა დაეცემის ეშმაკი და მრავალლონენი იგი ძალი მისინი.

სადა დავაწესო ჩუენსა ამას გკრგვნისა თხზვასა შინა ცრემლთა მისთა წყარო? საქმც, რომელი არა-მრავალთა თანა არს? რომლისა დაფარული სენაკი აქამომდე ჰგიეს, ქუაბი მცირც ადგილსა შინა კლდოანსა, რომელი შორავს სენაკსა მისსა მცირედ, რომელ ოდენ ჯმად არა ისმოდა. ხოლო მახლობელ იყო იგი ცათა გოდებათა მისთა ჯმამაღლობითა, აღვიდოდა ლოცვად მისი სასმენელად ღმრთისა. უმჯურვალეს იყვნეს ცრემლინი მისინი მათსა, რომელინი მახკლითა დაიჭრებოდინ, ანუ ცეცხლითა შეინუვოდინ, ანუ თუალთა ვინ აღმოჰვედიდეს.

ხოლო ძილსა იწუმევდა, რაღთა ოდენ გონებასა მღვდარებისაგან ფრიადისა არა ევნოს, და უნინარეს ძილისა ფრიად ილოცის, და წერნ წიგნებსა, რამეთუ ესე აქუნდა ჭელთსაქმარად, დამწისნელად მოწყინებისა. ხოლო სრბად მისი ყოველივე იყო ლოცვად მაღალი და ღმრთისა მიმართ ტრფიალებად უზომოდ, რამეთუ ღამე და დღც სიწმიდითა მით ქალწულებისაღთა განწმედილსა სარკესა – სულსა – შინა თვისსა ხედვიდა მას და არა განძლებოდა ხედვითა მისითა, რომლი-

სათკიცულო შური აიღო ძმამან ვინჩე, სახელით მოსე, ევედრა, რაღამცა იქმნა მონაფე მისა, ჰმსახურებდამცა, რაღა ისწაოს მისგან ჭეშმარიტი იგი საღმრთოდ სიბრძნე; და აღძრნა მრავალნი მეოხებად მისა მიმართ, რაღა აღუსრულოს თხოად მისი. ხოლო შეიწყნარა იგი ღმერთშემოსილმან მან ვედრებისა მისისათვეს და ასწავებდა მას ყოველსა კეთილსა.

და დღესა ერთსა უბრძანა ნეტარმან მან ძმასა მას მოსეს, რაღა მოქმნას ქუეყანად მცირც ბოსტნად სამხლედ. ხოლო იგი წარვიდა ადგილსა მას, რომელი უბრძანა და აღასრულებდა სიტყუასა მისა. ხოლო ვითარცა იყო შუადღე და განძლიერდა სიცხც, მივიდა მოსე ლოდსა დიდსა ქუეშე და მიიძინა. ხოლო უფალმან, რომელსა არავისი ჰერბავს შენუხებად მონათა მისთაგანისა, უსწრა შეწევნად მისა, რამეთუ იყო რაა ნეტარი იოვანე სენაკსა თვესა და ილოცვიდა, შეიპყრა იგი ძილმან, და იხილა ვითარცა კაცი ვინმე მღდელი შუენიერი, რომელი განაღვებდა მას და აყუედრებდა ძილისა მისთვეს და ეტყოდა: „შ, იოვანე, ვითარ უზრუნველად გძინავს, ხოლო მონაფც შენი მოსე ჭირსა შინა არს?!” და მეყსეულად განიღვძა და მოწვისა თვესისათვეს ილოცვიდა. ხოლო ჟამსა მიმწუხრისასა, მო-რავ-ვიდა იგი, ჰკითხვიდა მას, ვითარმედ: „ნუუკუ ჭირი რაღმე მოინია შენ ზედა, შვილო?“ ხოლო მან ჰრქუა მას, ვითარმედ: „ლოდსა დიდსა ეგულებოდა დაცემად ჩემზედა, მამაო, რამეთუ ქუეშე მისსა მეძინა. არამედ ჯმად შენი მესმა, ვითარმცა მიწმობდი, და ესრეთ გამოვედ სრბით ადგილისა მისგან, და გამო-რავ-ვედ, მეყსეულად დაეცა დიდი იგი ლოდი“. ხოლო მდაბალმან მან გონებითა არად უთხრა მას ხილვისა მისგან, არამედ ფარულად ლალადებითა სიყუარულისადთა სახიერსა ღმერთსა უგალობდა.

ხოლო იყო ნეტარი იგი სახე კეთილისა და მკურნალ წყლულებათა სულიერთა. ამისთვეცა მო-ოდესმე-ვიდა დიდისა მის მიმართ მონაზონი ვინმე სახელით ისაკ, რომელი

იმძლავრებოდა ბრძოლათაგან წორცულადასა და სულმოკლე-ქმნილ იყო იგი ბრძოლად მათდა. და მოუტდა ღმერთშემო-სილსა მას და გამოუცხადებდა მას ბრძოლათა მათ ცრემ-ლით და ტირილით. ხოლო სარწმუნოებად მისი დაუკრდა ნეტარსა მას და ჰრეჯუა: „დავდგეთ ორნივე ლოცვად, საყუა-რელო!“ და ვითარცა აღასრულეს ლოცვად და მოიდრიკნა მუწლნი ისაკ, მაშინ აღასრულა ღმერთმან „ნებად მოშიშისა მისისაც“ (შდრ. ფსალმ. 144,19) სიტყვსაებრ დავითისა. და გუელი იგი ივლტოდა ლოცვითა განდევნული, ხოლო სნეუ-ლი იგი ხედვიდა თავსა თვისსა განკურნებულად და ჰმად-ლობდა მადიდებელსა მას მადიდებელთა მისთასა და თაყუა-ნის-სცემდა მკურნალსა მას.

ხოლო ვიეთნიმე კაცნი, შეპყრობილნი შურითა, მრა-ვალმეტყუელად უწოდდეს მას და მზუაობრად, რომელნიცა საქმით განსწავლნა, რახთა დაარწმუნოს, ვითარმედ ყოვე-ლივე ძალ-უც განმაძლიერებელისა მისისა ქრისტეს მიერ, და დადუმნა სწავლისაგან წელიწად ერთ, რამეთუ ყოველ-ნივე მისა მივიდოდიან, ვითარცა მკურნალისა მიმართ და განათლდებოდიან. ხოლო მაშინ დადუმნა, ვიდრემდის თკთ მაბრალობელნი იგი მვედრებელ იყვნეს მისა და იტყოდეს, ვითარმედ: „წყაროდ სარგებელთა სულისათა აღმომდინარჲ დაყოფილ არს და წარწყმდების მრავალთა ცხორებად“. და ესრეთ, მრავალთა მიერ იძულებათა დაემორჩილა კუალად, და იყო ვითარცა პირველ – ასწავებდა და განანათლებდა ყოველთა. და ესრეთ, ხედვიდეს რად ყოველნი სათნოება-თა მისთა სიმრავლესა და მოძღურებისა მისისა სიღრმესა, შემდგომად ორმეოცისა წლისა დაყუდებისა მისისა, ვითარ-ცა ახლადგამოჩინებული მოსე, იძულებითა დიდითა წინამძ-ღურობასა ძმათასა აღიყვანეს მონაზონთა მათ სინისათა და ბრწყინვალჲ იგი სანთელი სასანთლესა ზედა წინამძღუ-რობისასა აღამაღლეს. და არა სცოტს, რომელთაცა მეორედ მოსედ სახელ-სდვეს მას, რამეთუ იგიცა შევიდა მთად უხი-

ლავსა მას ნისლსა და მოილო ღმრთივწერილი რჩულისდებად, და სიტყვითა ღმრთისადთა ალალო პირი და მიიღო სული, და აღმოთქუა სიტყუად კეთილი, და უფროდსლა სიტყუანი კეთილისა მის საუნჯისაგან გულისა მისისა.

და ესრეთ აღასრულა წმიდად იგი ცხორებად მისი წინამძღვრობასა შინა ჭეშმარიტთა მათ ისრაიტელთა, რომელ არიან მონაზონნი, და მიიცვალა ღმრთისა სასუფეველად ცათად. ერთითა ოდენ არა იქმნა მსგავს მოსესა, რამეთუ არა მოიწია მის ზედა ვერშესლვად ზეცისა იერუსალიმსა, ვითარ-იგი მოსე ქუეყანისა იერუსალიმსა ვერ შევიდა, არა-მედ მიიწია ესე ზეცისა მას იერუსალიმსა დიდსა მასვე მოსეს თანა.

და მოწამე არიან სათნოებათა მისთა მრავალნი, რომელნი ცხონდეს საღმრთოთა მათ სიტყუათა მისთა მიერ და ცხონდებიან, და რომელთა უხილავს იგი და იცნობენ.

მოწამე არს მამად დავით, განშორებული, სიბრძნეთა და ცხორებასა მის ნეტარისასა, მოწამე არს კუალად თკთ ნეტარი იოვანე ჩუენ რაითელთა მწყემსი, რომელიცა ევედრა ღმერთშემოსილსა მას, რადთა დაგვიწერნეს სწავლანი მონაზონებისანი. და გარდამოწდა ახალი იგი ღმრთისმხილველი ჩუენდა მომართ გონებითა მთით სინით, და გზჩუენნა ჩუენ მანცა ღმრთივწერილი იგი ფიცარნი, რომელთა შინა წერილ იყო გარეთ სწავლანი საქმისანი და შინაგან – სწავლანი ხედვისანი, სადიდებელად ღმრთისა, რომლისად არს დიდებად, ან და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ!

## ებისტოლები

წმიდისა მამისა იოვანე რაითელ მამასახლისისად  
სანატრელისა იოვანეს მიმართ,  
სინელ მამასახლისისა

ღმრთივსანატრელსა, ანგელოზთა თანასწორსა, მამასა  
მამათასა და მოძღუარსა ჩუენ ყოველთასა, ცოდვილი იოვა-  
ნე რაითელ მამასახლისი უფლისა მიერ გახარებ!

უწყით ჩუენ, გლახაკთა ამათ, შეუორგულებელი შენი  
მორჩილებად სხუათა ყოველთავე სათნოებათა თანა, და  
უფროვსლა, სადა ღმრთივმოცემულისა მის შენდა ტალანტი-  
სა აღორძინებად და განმრავლებად იქმნებოდის. ამისთვისცა  
მოუწერთ სინმიდესა შენსა სიტყვასა მისებრ წერილისა, რომე-  
ლი იტყვს, ვითარმედ: „ჰკითხე მამასა შენსა და გითხრას შენ,  
და მოხუცებულთა შენთა გაუწყონ შენ“ (სჯულ. 32,7). ამის-  
თვისცა, ვითარცა ზიარსა ყოველთა მამასა, და მოხუცებულსა  
უფროვს ყოველთასა მოღუანებითაცა და სწავლულებითა, და  
მოძღუარსა კეთილსა, ვევედრებით სათნოებათა შენთა სი-  
მაღლესა, რათა მოგვიწერო ჩუენ, უსწავლელთა ამათ, რაღ-  
იგი ღმრთისმხილველობასა შინა, მსგავსად დიდისა მოსესა,  
მაგასვე მთასა ზედა გიხილავს. და ვითარცა ფიცართა სუ-  
ლიერთა შინა, შენ მიერ აღწერილსა წიგნსა შთაწერენ სწავ-  
ლად ახლისა ამის ისრაცლისა, რომელი აწლა გამოსრულ არი-  
ან უხილავთა მათ მეგვპტელთა და ზღვსაგან ამის სოფლისა.

და ვითარცა-იგი კუერთხისა წილ ღმრთისმეტყუელი-  
თა მაგით შენითა ენითა მადლითა ღმრთისადთა, მრავალნი  
სასწაულნი გიქმნიან და მრავალნი გიტინიან ზღვსაგან ამის  
სოფლისა, და აწცა ნუ ულირს-გუყოფ, გევედრებით, არამედ  
რაღ-იგი შეჰვავს მონაზონთა ცხორებასა, აღწერე კეთილად  
უფლისა მიერ, ვითარცა დიდმან მოძღუარმან, ყოველთათვის,  
რომელი შემოვიდენ ამას ანგელოზებრსა მოქალაქობასა.

და ნუ ჰერონებ, თუ ზაკუვით და ორგულებით ვიტყვთ სიტყუათა ამათ! რამეთუ უწყი, წმიდაო მამაო, ვითარმედ შორს არს ჩუენგან ესევითარი საქმე, არამედ ვითარცა არს ჭეშმარიტი და ყოველთა მიერ რწმუნებული, ვიტყვთ. და ამისთვისცა ვესავთ ღმერთსა, ვითარმედ ადრე მოვიხუნეთ, რომელთაცა მოველით სულიერთა ფიცართა, რადთა უძლოდინ უცომელად ყოველთა, რომელნი შეუდგენ მათ, და რადთა იყვნენ სწავლანი იგი, ვითარცა კიბც აღმყვანებელი ზეცისა ბჭეთა ყოველთა, რომელნი ისწრაფდენ მუნ აღსლვად, და რადთა დაუყენებელად წარავლნე იგინი სწავლითა შენითა სულთა მათგან უკეთურთა და სოფლის მპყრობელთა ბნელისათა და მთავართა ჰერისათა.

რამეთუ უკუეთუ იაკობ ცხოვართა მწყემსი იყო და ესევითარი საშინელი ხილვად იხილა კიბესა მას ზედა, არა უფროვსად შენა, რომელი-ეგე სიტყვერთა ცხოვართა მწყემსი ხარ, არა ხილვით ოდენ, არამედ საქმით და ჭეშმარიტებით უცომელი ღმრთისა მიმართ გზად გვჩუნო? და იყოფოდე ცოცხლებით უფლისა მიერ, ჰატიოსანო და წმიდაო მამაო.

## ებისტოლც

ნეტარისა და წმიდისა იოვანე სინელ მამასახლისისა  
იოვანეს მიმართ, რაითელ მამასახლისისა,  
რომლისა ზედანერილი ესე არს:  
„ფიცარნი სულიერნი“

იოვანე იოვანეს ახარებს!

მოიწია ჩუენდა პატიოსანი წიგნი შენი, რომელი, ვითარ-  
ცა შუენოდა უვნებელსა მას და სათნოებითა სავსესა ცხო-  
რებასა შენსა და წმიდასა მას და მდაბალსა გულსა შენსა,  
მოგვიწერე ჩუენ გლახაკთა ამათ სათნოებითა. რამეთუ, ვი-  
თარცა მარადის ჩუეულ არს სიწმიდც შენი სახისა მოცემად  
ჩუენდა სიმდაბლისა, ამისთვის ჰქმენ ესეცა, რომელ ჩუენგან,  
უსწავლელთა ამათ საქმითცა და სიტყვით, ითხოე სიტყუად  
სწავლისად და გვიბრძანე საქმც, უზეშთაესი ჩუენისა ძალი-  
სად. გარნა მე ამას ვიტყვი, ვითარმედ: უკუეთუმცა არა შიში  
იყო ჩემ ზედა დედისა მისგან ყოველთა სათნოებათადსა, რო-  
მელ არს მორჩილებად – ნუუკუე განვაგდო ულელი მისი ჩემ-  
გან! – არამცა შევჰკადრე საქმესა უალრესსა ძალისა ჩემი-  
სასა.

რამეთუ ჯერ იყო შენდა, ჭ, საკურველო მამაო, რადთა  
უკუეთუ ესევითართა საქმეთა გამოეძიებ, მათ მიერმცა ის-  
წავე, რომელთა კეთილად უწყიან სათნოებისა საქმც, რა-  
მეთუ ჩუენ ჯერეთ მონაფეთა საზომსა ვართ და არა მოძ-  
ღუართასა. არამედ, ვინავთგან ღმერთშემოსილნი მამანი  
და მოძღუარნი მორჩილებისანი მორჩილებად ამას იტყვან,  
რადთა ძალისა უზეშთაესთა საქმეთა შეუორგულებლად  
წელ-ჰყოფდეს კაცი სიტყვსათვის წინამძღუართადსა, ამისთვის  
უზეშთაეს ძალისა ჩემისა საქმესა სიმდაბლით წელ-ვყავ,

არა-თუ რაღამცა შენ რაღმე საწმარ გეყო ჩემ მიერ თქუმული ესე: რამეთუ უწყი მეცა, ჭ, წმიდაო მამაო, და ყოველთა, რომელთა თანა არს სიბრძნე გონებისაზ, ვითარმედ წმიდა არს გონებაზ შენი ყოვლისაგანვე სიბრძნე ვნებათადსა და დაუყენებელად მივალს საღმრთოსა მას ნათელსა თანა და მის მიერ განბრნყინდების. არამედ, რამეთუ სიკუდილსა მას ურჩებისასა ვეშიშვილდე, ამისთვის მორჩილებად მოვედ ბრძანებისა შენისა წმიდისა, შიშით და სურვილით, ვითარცა მორჩილი ერთგული, და მონად გლახაკი და უწმარი – მხატვარისა წელოვნისაზ, მცირედითა ამით და უნდოვთა გულის-წმის-ყოფითა ჩემითა და წმანულილითა სიტყვთა; მელნითა ოდენ ცხოველნი სიტყუანი გამომისახავნ, ხოლო შენდა და-მიტეობიეს, ჭ, მოძღუართა წინამძღუარო, რაღთა შენ კეთილად შეამკო და განაცხადო ჩემ მიერ გამოსახული ესე, და ნაკლულევანი ყოველივე, ვითარცა აღმასრულებელმან სულიერთა ფიცართამან, სრულ-ყავ.

ხოლო ვითარცა ვთქუ, არა-თუ შენდა მომართ სწავლად წარმომიცემია აღწერილი ესე – ნუ იყოფინ! (რამეთუ შენ, წმიდაო, ძალ-გიც მრავალთა და თკო ჩუენდაცა სწავლად და დამტკიცებად საღმრთოთა შინა საქმეთა და სწავლათა), არამედ საღმრთოდსა მაგის კრებულისა მომართ მომინერიეს, რომელი ჩუენ თანა არს მორჩილებასა შინა შენსა, ჭ, მოძღუართა მოძღუარო! რომლისათვისცა შენითა და მათითა ლოცვითა და სასოებითა უფლისაღთა აღვსუბუქენ მცირედ სიმძიმისაგან უსწავლელობისა, და კალმისა ჩემისა აფრად აღვპმართე, და საჭც ჩუენისა სიტყვსაზ მიმიცემიეს წელთა ლოცვათა თქუენთადსა, და ვიწყებ სიტყუად სიტყვსათვს თქუენისა.

ხოლო ვითხოვ ყოველთაგან, რომელნი მიემთხვენენ სიტყუათა ამათ ჩემ მიერ თქუმულთა, უკუეთუ ვინმე სარგებლისა რაღმე სიტყუად ჰპოოთ მათ შინა, ნაყოფი მისი ჩუენი-

სა მის წმიდისა მამისად შეჰრაცხეთ, რომელმანცა გვპრძანა ამისი ქმნად. და მე კელყოფისათვს ოდენ მილოცეთ და ნუ სიტყუათა ამათ ხედავთ, რამეთუ უნდონი არიან ჭეშმარიტად და ყოვლითავე უსწავლელობითა სავსენი. არამედ გულსმოდგინებისა ჩემისათვს მილოცეთ, რამეთუ არა სიმრავლისაებრ ძღვენთა და შრომათადსა, არამედ სიმრავლისაებრ გულსმოდგინებისა მიაგებს ღმერთი სასყიდელსა, რომლისად არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.